

მ ც ყ ი მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ვ ა ლ ე ბ ა.

შინაგან საქართველოს მინისტრის განკარგულება
საფოსტო ნაწილში.

რომ ხალხს უფრო უმეტესად გაუადვილდეს
ფოსტით ფულების გაგზავნა, დამოუკიდებლად ფუ-
ლის გაგზავნის არსებულის წესისა ფულიანს და ფა-
სიანს პაკეტებში—წესდება გადაღება ანუ გადატანა
ფულებისა ფოსტით და ტელეგრაფით საფოსტო ტე-
ლეგრაფო უწყების დაწესებულებათა საშუალებით
შემდეგს საფუძველზედ:

ა) ყველა საფოსტო და საფოსტო-ტელეგრაფო
დაწესებულებანი იღებენ ფულებს გადასაღებად ანუ
გადასატანად ყველა იმ ქალაქებში, რომლებშიაც
არსებობენ ხაზინები ანუ ფინანსთა მინისტრის საშე-
სავალ-გასავალო კასები. იმ ადგილებში, სადაც ეს
დაწესებულებანი არ არსებობენ, საკუთარის განკარ-
გულებათა მოხდენამდის, ფულები მიიღებიან გასაგ-
ზავნად მხოლოდ ფულიანს და ფასიანს პაკეტებში
თანახმად არსებულის კანონებისა.

ბ) ფულების მიღება „გადასატან გადასაღებად“
ტელეგრაფის საშუალებით შეიძლება მოხდეს მხო-
ლოდ იმ ადგილთა შორის, სადაც იმექონების ტე-
ლეგრაფი.

გ) ახლის განკარგულების მოხდენამდის, თითო-
ჯერ შეიძლება „გადაღებულ-გადატანილ“ იქმნეს
მხოლოდ არა უმეტეს ასის მანეთისა.

დ) ფოსტით ფულის გადატან-გადაღებაში გა-
დახდილ უნდა იქმნეს ერთგვარი სასყიდელი, 15
კაცებით თითოეულის გადატან-გადაღებისათვის, მიუ-
ხედავად გადასატან-გადასაღების ფულის რაოდენო-
ბისა (ერთიდგან ას მანეთამდის), — ტელეგრაფით გა-
დატან-გადაღების დროს-კი, ამას გარდა, უნდა გა-
დახდილ იქმნეს სასყიდელი ჩვეულებრივის ოცის
სიტუაციაში შემდგარის ტელეგრამისა, სატელეგრა-
ფო ტარიფის თანახმად.

ე) საფოსტო და საფოსტო-ტელეგრაფო დაწე-
სებულებანი გადასაღებ-გადასატანად იღებენ მიმცემ-
თაგან ნაღდს ფულსა (ოქროს იმ კურსით, რომელიც
დაწესებულია ფინანსთა მინისტრის მიერ) განსაკუთ-
რებულს ბლანკებთან ერთად, რომელთაც (ბლან-
კებს) აქვთ მოსაჭრელი კუპონი; ეს ბლანკები შზად-
დებიან საფოსტო-ტელეგრაფო უწყების მიერ ორის
სახისა: ბრტყელ დასმული და უბეჭდოდ. ფულის გა-
დატან-გადაღების ბლანკები ისყიდებინ ყველს
საფოსტო და საფოსტო-ტელეგრაფო დაწესებულება-
ებში ერთს კაპეიკად უბეჭდო ბლანკი. ბრტყელ-დას-
მულს ბლანკში იღებენ იმ ფასს, რომელიც აღნიშ-
ნულია ბრტყელში, ესე იგი 15 კაცების.

ვ) საფოსტო გადასახადი (სტატია მეოთხე) ფუ-
ლის გადაღებისთვის შეიძლება გადახდილ იქმნეს
ჩვეულებრივის საფოსტო მარკებით ფულის მიცემის
დროს, ეს მარკები უნდა დაწებებულ იქმნენ თვით
ფულის მიმცემთაგან უბეჭდო ბლანკის პირზედ.
რომელთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნენ გადა-
საღები ფულები. სატელეგრაფო გადასახადად უნდა
მიცემულ იქმნეს ნაღდი ფული.

ზ) გადასაღების ბლანკის პირზედ, პირველს
სტრიქონში, მიმცემის მიერ გარკვევით უნდა იყოს
დაწერილი; „ფოსტით“ თუ „ტელეგრაფით“, იმის
მიხედვით, რომელ ამ დაწესებულების საშუალებით
გადატანილ უნდა იქმნენ ფულები. თუ ფულს გადა-
იტანენ ტელეგრაფით, ტელეგრამმა შზადდება, თანა-
ხმად მოცემულის ბლანკისა, საფოსტო-ტელეგრაფო
უწყების იმ დაწესებულების მიერ, რომელმაც მიიღო
გადასატანად ფულები.

მეორე პირი გადასაჭრელის კუპონისა, რომე-
ლიც აქვს ბლანკსა, დანიშნულია ღია წერილისთვის;
ამიტომ ვისაც ფოსტით სურს ფულის გადატანა, მას
ეძლევა საშუალება წერილი მისწერის იმ პირს,
რომელმაც ფული უნდა მიიღოს.

ტ) კერძოდ მომზადებულის ბლანკით ფულის
გადატანა არ შეიძლება, — აგრეთვე არ შეიძლება
გაფუჭებულის ბლანკების ახალს ბლანკებზედ შეცვლა.

თ) ფულის მომცემს ეძლევა, უსასყიდლოდ, ხელწერილი მიღებულის ფულის აღნიშვნით.

ი) როდესაც გადასატანს ფულს მიღებენ და-ნიშნულს ადგილს, მას, ვის სახელზედაც მოვიდა ფული, უწყებით აწობებენ მისაღების ფულის რა-ოდენობას; ფული მიეცემა მას საფოსტო-ტელეგრაფო უწყების დაწესებულებაში გამოცხადებისათანავე; ამავე დროს ეძლევა მასვე მოსაჭრელი კუპონი „ფოსტით“ გადასატანის ფულის ბლანკისა.

ია) იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია ფუ-ლიან პაკეტების შინ მიტანა, გადაღებული ფულები შეიძლება შინ მიტანილ იქმნენ მათთან, რომელთ სახელზედ გამოგზავნილი არიან, მათის სურვილისა-მებრ, თანახმად იმ წესებისა, რომელნიც არსებობენ ფულიანი პაკეტების შინ მიტანის შესახებ.

იბ) იმ შემთხვევაში, უკეთუ ფოსტა დაპკარგავს გადასატანად მიღებულს ფულს, საფოსტო-ტელეგრა-ფო უწყება გამგზავნს უბრუნებს მინაღებს ფულსა ან არა და უგზავნის, თანახმად მისის სურვილისა, გადასაღების ფულის მეორე ხელწერილს (დუბლი-კატი), გაღუბდელად ამ შემთხვევაში განსაკუთრებუ-ლის სასყიდლისა.

იგ) ფულების გადაღების წარმოებას შეეფარ-დებიან ფულიანი პაკეტების გაგზავნის შესახებ არ-სებული წესები იმდენად, რამდენათაც ეს წესები არ არიან შეცვლილი აწინდელის დადგენილობით.

იდ) აწინდელი წესები ფოსტით და ტელეგრა-ფით ფულების გადატანის შესახებ დაწყებენ მოქ-მედებას: ევროპიულს რუსეთში, კავკასიაში, თურ-ქესტინის შხარეში და კასპიის იქითა შხრის თეშში — პირველის იანვრიდამ 1897 წლისა; ხოლო ციმბირში — პირველის მარტიდამ იმავე წლისა.

ფინლანდიის მხარეში ფულების გადატანის წარმოების წესის გავრცელების შესახებ გამოვა გან-საკუთრებული განკარგულება.

შენსიის დანიშვნა.

უქაზისამებრ უუწმიდესისა სინოდისა, 28 ენკე-ნისთვიდამ 1896 წლისა მე-4878 ნოემბრით დაენიშ-ნათ პენსია ეპარქიებში: ა) ქართლ-ქახეთისა: შტატ-

გარეშე მღვდლებს; წინწყაროს ლვოს-შშობლის ეკკლესიისას მახეთდ სევასტიანიას 130 მანეთი წე-ლიწადში, თბილისის საგუბერნიო ხაზინიდამ, 12 ენკენისთვიდამ 1895 წლისა,

ბ) იმერეთისა: უბისის ეკკლესიისას აღფეზ ბარათაშვილის 130 მანეთი, 30 მაისიდამ 1896 წლისა, ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

მათხოვის ეკკლესიისას ციმთო ქუთაშვილის 130 მანეთი, 1 ნოემბრიდამ 1895 წლისა, ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

ჯვარისის ეკკლესიისას გაბრიელ ბოჭორიშვილის, 28 ლვინობისთვიდან 1895 წ. ქუთაისს სამაზრო ხაზინიდამ.

დედა-ლვთის ეკკლესიისას სამონ გრაფულაძეს, 2 მარტიდან 1896 წლ., ქუთაისის სამაზრო ხაზინიდან.

მღვდლის ქვრივებს, 65 მანეთი წელიწადში: არგვეთის წმიდის გიორგის ეკკლესის მღვდლის სპირაფონ აბრამა შვილიას — რუსევდანს, 24 მარტი-დამ 1895 წლისა, ქუთაისის ხაზინიდამ: საყავარდის მაცხოვრის ეკკლესის მღვდლის გიორგი ღიაგვე-შვილისას — მაკრინევი და ამის მცირე წლოვანს ძეს გადატანების, პირველს 65 მან. და მეორეს 25 მან. წელიწადში, სულ 90 მან., 24 მარტიდამ 1895 წ. ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

გ) გურა-სამეგრელისა შტატ-გარეშე მღვ-დლებს 130 მანეთი წელიწადში: სუხჩის ლვთის-მშობ-ლის მიძინების ეკკლესიისას ეგნატე ძაღლებაძეს, 17 მაისიდამ 1894 წლისა, სენაკის სამაზრო ხაზინიდამ.

ოქროსქედის ეკკლესიისას ბეს რიან ჯანჭარა-შვილის, 28 ენკენისთვიდამ 1895 წლისა, ფოთის ხაზინიდამ.

ჩიბათის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის ის სეპ ჯორბენაძეს ქვრივს — ქესარიას და ამის მცირე წლოვანს შვილებს: — ეფრაიმ ნეს, დომინიკეს, ფილი-მონს, ადათას და ნესტორს, პირველს 65 მან. და შვილებს 25 მან., 13 ნოემბრიდამ 1895 წლისა, ფოთის ხაზინიდამ.

და დ) სუხუმისა: ოლგინსკის სამრევლოს ეკკლესიის დეკანოზის ნაკოდლოზ ბობანდობულის ქვრივს — ალიმშიადას 65 მანეთი წელიწადში, 16 იანვრიდან 1896 წლისა, სოხუმის სამაზრო ხაზინიდან.

მარტინი



№ 21

1883—1896

1—15 ნოემბერი.

გაზეთის ფასი:

| | | |
|-------------------|---------------|-------------------|
| „მწყემსი“ | „მწყემსი“ | რუსული გამოცემით |
| 12 თვით | 3 მან. | 12 თვით |
| 6 — | 2 — | 6 — |

ველისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით
ვა ჩაითანა, ვა ჩაითანა „Mukemesi“ უ „Pastore“. . .

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმა კეთილმან სული თვისი
და ქადვის ცხოვართავის. (იოან. 10—11).

33 ავგვ ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილია. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და
მე განგისვენო თქვენ. (გათ. 11 28).

შეელა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც
იქმნებიან დასახეჭდვათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგე-
ბად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვეის განმავ-
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიღებიან რუსულს ენაზე დაწერილიც და
თარგმნით დაიბეჭდებიან.

სტატიები სოვეტნიკი გიორგი სამავლიშვილი,
მამა კირიონი.

წინანდელ დროში, უმეტეს ნაწილად, საქა-
რთველოს უმთავრეს მონასტრებიდან, რომე-
ლიც იუვნენ პალესტინას და სინას მთაზე,
გამოდიოდნენ ღრმად განსწავლილი და ღ-
რსეულად მომზად ბეჭედი პირები სასულიერო
სარბიელზე სასპენსიონდ. ამ სავანეებმა არა ერ-
თი და ორი შესანიშნავი სასულიერო მოასპარეზე

მოუვლინეს საქართველოს. მეთვ დამეტე საუ-
კუნის დასასრულს კი მათ ცოტა უკა იცვალეს
და სხვა და სხვა ხელის შემშლელია პირობებმა
შეასუსტეს მათი წინანდელი სიუხვე და ძლიე-
რება. იმვიათად თუ გამოერეოდა სასულიე-
რო მაღვაწეობის ასპარეზის უმაღლეს საფეხერ-
ზე მდგომი პირები, თორებ განიადაგებოთ მ-თ
ვერ ვხელავთ საქართველოს არე-მარეში. მრავ-
ლი სასულიერო მაღვაწე იყო მას შემდეგ, მაგ-
რამ მთ საიმისო შესანიშნავი :რა მიუძღვისთ
რა. მაგრამ თუ გონიერით სალაროს მათ ვრა-

ფერი შემატეს, და არც იუნენ ისე ღრმად გან-
სწავლილნი, მაინც მათი კეთილ ზნეობით აღ-
სავსე ცხოვრება იმდენად სასარგებლო და
მნიშვნელოვანი იყო სამწესოთათვის. რომ
მატიანემ მათი სახელები აღნიშნა და მთამავ-
ლობამაც ნეტრანსახესნებლად მიმჩნია იგინი. რა-
საკირველია, ბევრი არის ამის მიზეზი და რთული
ასახსნელიცაა, რაიც ცალკე გამოსაკვლევია და
განსამარტებელი.

:მ საუკუნის დამდეგიდან თან და თან სასია-
მოვნო მოვლენას ვამჩნევთ: უმაღლეს სწავლა-
და მთავრებულ ქართველებს ემჩნევათ ეპისკოპო-
სად შესვლის სურვილი. ამ გვარ ვირებს ეკუთვნიან
იმერეთის ეპისკოპოსის განსვენებული გაბრიელი და
გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. ორივენი, კარგა
ხანის, ილვრიან ქრისტეს ეკალესის კანაში და იყვა-
ვენ ქრისტეს ეკალესიას ურწმუნობების კეთრისაგან
და ეხლანდელი დროის მტრეთაგან. ამ უკელა-
საგან პატივცემულ მწერესთ-მთავართა მაგალითს
მიმდეველები აღმოჩნდა ჩვენ განათლებულ
საზოგადოებაში. ამ გვარ ვირებს ეკუთვნიან—
არქიმანდრიტი ლეონიდი, თხვადი დ. აბაშიძე,
რომელიც უნივერსიტეტში სწავლა დამთავრე-
ბული კივის აგადემიაში შევიზა და ამ ქამად
იქაც სწავლას ამთავრებს, და ამბროსი, ნახა-
რების მონასტრის წინამძღვარი, ქრისტ. აღმადგ.
საზოგ. მისიონერი. სასიარულოდ ჩვენდა ამ-
გვარივ სურვილი სხვა ქართველებშიდაც იდგამს
ფეხს და თან და თან ძლიერდება. ბევრს სურს
შავ სამღვდელოებაში მოღვაწეობა და ღმერთს
ექნას, ეს ხმები კეთილად და მართლად დაგვი-
რგვინებულიყოს.. (იხ. «მწერები» № 16, 95 წ.)

აი რას ვსწერდით ჩვენ წარსული წლის
აგვისტოს თვეში, როდესაც შევნიშნეთ საშიმარი
სისესტის თანდათან გაძლიერება უკვლებ სა-
მღვდელო გაბრიელის. ჩვენი იმედი და ჩვენი წი-
ნასწარმეტყველება არ გაცრუვდა. სრულდება
მოღლილი ქართველთა ერთა და ემატება გა-
ნათლებული ვირები ჩვენს სამღვდელოებას. აი
შეგვეძინა კიდევ ერთი ნასწავლი და შესანიშნავი
მორწმუნე ვირი სახელ წალებით კირიონი. 2-ს
ნოემბერს ექსარხოსის ჯვრის ეკალესიაში შეს-

რულდა ბერ და აზევეცა სტატისკის სოვეტნიკის,
კარგად ცნობალის უკელა ქართველურთვება, გრ-
იონგი საძაგლიშვილისა. მოგვაცება უკეც რამ-
დენმე მოკლე ბიოგრაფიული ცნობა მამა კი-
რიონის შესახებ:

ბერ-მონაზონი კირიონი არის 42 წლისა და 15
წელიწადი მსახურები სასულიერო სასწავლებლებში.
თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დას-
რულების შემდეგ ახლად აღკვეტილი შევიდა კიევის
სასულიერო აკადემიაში, სადაც 1880 წელს სწავლა
დაასრულა ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარის-
ხით. თავისი სამსახურის პირველი წლები მან გაატარა
რუსეთშივე; იგი დაინიშნა ოდესის სასულიერო სე-
მინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. საქართველოს
ყოფილი ექსარხოსის, აწ უკვე განსვენებულის პავლეს
მიერ გიორგი საძაგლიშვილი გადმოყვანილ იქმნა
1883 წელში საქართველოს საექსარხოსოში და დაი-
ნიშნა თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამ-
ხედველის თანაშემწედ და კატეხიზოს და საღმრთო
ისტორიის მასწავლებლად. იმ დღიდგან აგრე 13
წელიწადია, რაც საექსარხოსოის სხვა და სხვა აღვი-
ლას იგი ასრულებს სხვა და სხვა სამსახურს. თელა-
ვიდან იგი გადმოყვანილ იქმნა გორში გორის სასუ-
ლიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ.
დაროებითად იგი ასრულებდა ზედამხედვლის თანამ-
დებობასაც. ასწავლიდა რუსულ და ქართულ ენას,
გორგარაფიას. 1891 წელში უწმიდესი სინოდის ობე-
პროკურორის უქაზით იგი გადაყვანილ იქმნა თბი-
ლისის სასულიერო სასწავლებლში ქართული ენის
მასწავლებლად. თავის პირდაპირი მოვალეობის გა-
რეშე გიორგი საძაგლიშვილი ასრულებდა სხვა და
სხვა თანამდებობას: იგი იყო წევრად იმ კამისიასა,
რომელსაც უნდა გაეუმჯობესებია გორის სასულიე-
რო სასწავლებლის წიგნთ-საცავის მდგომარეობა.
დიდი შრომა გასწია მან ზემო-ნიქოზის ამაღლების
და გორის მაზრის მიხეილ მთავარ-ანგელოზის ტაძ-
რების განახლების საქმეში, რაისათვისაც მან უწმი-
დესი სინოდისაგან მიიღო ლოცვა-კურთხევა გრამმა-
ტით; თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის
საბლვდელოების დეპუტატების მიერ იგი დაინიშნულ
იქმნა სარევიზიო კაშიტეტის წევრად, რომელ კამი-
ტეტს უნდა შემოწმებია ხსენებული სასწავლებ-
ლის შესავალ-გასავლის წიგნები 1875 წ. 1884
წლამდე.

გარდა ამაებისა ახლად აღკვეცილი იღებდა მონაწილეობას ადგილობით გამოცემებში, სადაც სწერდა სხვა და სხვა სასულიერო და ისტორიული შინაარსის წერილებს. მისგან დაწერილია შემდეგი სტატიები; „წმ. მოციქულთ სწორი ნინა, ქართველთ განმნითლებელი“, „მირიანი, როგორც პირველი ქრისტიანე მეფე“; ვახტანგ გორგასლანი; „ლურსმანი, რომლითაც მილურსმნულ იქმნა ქრისტე ჯვარზე“; რა მნიშვნელობა ჰქონდა ბერობას საქართველოში; ისტორიული გამოკვლევა წმინდა სანთლის შესახებ; მეტების და ნიკოზის ტაძრები“. და სხვ.

ახლად აღკვეცილი არის გორის მაზრიდან; მამა მისი იყო მღვდლად კავკასიის მთებში.

მისი ბაბუა, გაბრიელ საძაგლიშვილი იყო ისტორიული პირი და მისიონერად იყო კავკასიის მთებში, დაღესტნის ხევებში. თუმცა ახლად აღკვეცილს კაი მამულები ჰქონდა გორის მაზრაში და უზრუნველად შეეძლო ცხოვრება, მაგრამ ყოველივე ესები მიატოვა და ბერობა ირჩია. მ. კირიონი, როგორც ხმები ისმის, დანიშნულ იქმნება ქვაბთა ხევის მიძინების მონასტრის წინამძღვრად, კავკასიაში მართლ მაღიდებელი სარწმუნოების აღმაღვენელი საზოგადოების სასწავლებლების ინსპექტორად და მონასტრების ბლალობინად. ვინაიდგან დღეს ძლიერ ცოტანი გვყავს უმაღლეს სწავლა მიღებული ბერები, ამიტომ ძლიერ სასიხარულოა ყველასათვის უმაღლეს სწავლა მიღებული კაცის ბერად აღკვეცა მით უმეტეს, რომ მ. კირიონი შესანიშნავია თავისი ჭეშმარიტი სარწმუნოებით და მტკაცე ზნეობრივ-სარწმუნოებრივი რწმუნებით.

ამბობენ, რომ ბატონ ალათოვს სამეცნიეროის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედვლის თანაშემწერაც სურს ბერად აღკვეცა. ღმერთმან ქმნას, რომ ეს ხმაც გამართლდეს. ღვთისმშობელო, მოეც ღირსეული სამღვდელო პირები შენს წილხდომილს ქვეყანას-ივერიას!.. ჭეშმარიტად სასიხარულო მოვლენა არის ჩვენი ხალხისათვის ამისთანა სასულიერონასწავლი პირების შექმნა და რისთვის არის ეს სასიხარულო? მისთვის, რომ ჩვენ შეგვეძინენ მქადაგებელნი, რომელნიც არიან კარგად მუღლენი ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა, ზნეობრივი ელფერისა, გონქბითი შეხედულებისა და მათი სარწმუნოებითი გრძნობისა. ამისთანა ადგილობრივი მიწის შეილის სიტყვა-ქადაგებები და მოძღვრებანი, რა-

იქნებიან შეხამებულნი და შეკავშირებულნი ადგილობრივ პირობებთან და ამისათვის სარგებლობას მოიტანენ კიდევ. ეს გარემოება თუმცა მივიწყებულია ყველასგან, მაგრამ დიდად საგულისხმოა ყოველ ასპარეზზე, და მეტადრე ქრისტეს სარწმუნოების უზენაესი მიზნის მსახურების ასპარეზზე, სადაც ყველაფერი დამყარებული უნდა იყოს სულიერ დაახლოებაზე, ერთობაზე და კეთილ რჩევა-ჩაგონებაზე. როცა ყველაფერი დამყარებულია ურთი ერთის საჭიროების და ვითარების გათვალისწუნებაზე, მაშინ დამყარდება სულიერი კავშირი და უხვ ნაყოფს მოიტანს. ამისათვის დიდის აღტაცებით და ყმაყოფილებით უნდა ეგებებოდეს ყოველი ჩვენგანი, როდესაც ხედავს სასულიერო წოდებაში შემსვლელს უმაღლეს სწავლის მიმღებს ქრისტიანული ძმური კავშირის დასარსებლიდ მწყემსთა და სამწყსოთა შორის.

დკ. დ. ლამბაშიძე.

ნოტებით ქართული განლობა ოზურგეთის საკრებულო ტაძარში.

მკიონხველებმა იციან, რომ ჩვენმა ცნობილმა მოღვაწე ფილიმონ ქორიძემ ამ სამი-ოთხის წლის წინეთ დავაწა ქ. ოზურგეთში ქართული გაღიანის ნოტებზე გადადებისათვის. დაასრულა თუ რა თავისი მისსა, იგი გაემკზავრა ტეილისმი, სადაც მისივე თვალ უურის დევნით და კორრეგტურობით დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი წიგნი მის მიერ ნოტებზე გადაღებული მღვდლისა და მღვდელთ-მთავარის წირვის გაღიანისათვის. მ წიგნის დანახვამ უველა გაგვაზარა და გვასიამოვნა და იაში მოთავსებული გაღიანის მოსმენა უველა გვშეროდა და გვენატრებოდა. ბატონი ქორიძე გასულს ზაფხულს კიდევ გვესტურა ოზურგეთში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ის გაემკზავრა გურიის სხვა და სხვა სოფლებში საჭალო სიმდერების შესაგროვებლად და როცა

დაბრუნდა ოზურგეთში, ბ. ქორიძემ ინახელა
აქ პატივცემული მამა წინამძღვარი ოზურ-
გეთის საკრებულო ტაძრისა მღვდელი და ვით
დუმბაძე, რომელმაც სთხოვა ბ. ქორიძეს ნო-
ტებზე გადადებული წირვის გაღლობის გაჩადება
მისდამი რწმუნებულს ტაძარში და აღეთქვა
უკვალი გვარი საშუალებათ დახმარება. ბ. ქო-
რიძე დიდის სი: მოვნებით დათანხმდა მამა და-
ვით დუმბაძის წინადადებაზე, მხოლოდ სთხოვა
შეკრება ახალგაზდა პირთა, რომელთაც კი სურთ
გაღლობის შესწავლა და წასრულს ენკენისთვეს
შეუდგა მეშაბაძას. ჩვენ მოვისმარეთ რამდენიმე
საგაღლობელი ნოტების საშვალებით აღსრულე-
ბული, რომელმაც მწყობრის და ხელოვნერის
გამოთქმით აღტაცებამი მოგვიევანა. ეჭვა არ
არის, რომ ოზურგეთის ტაძარში დაარსდება
მშვენიერი ქართელი წირვის გაღლობა. სრული
რედი გვავს, რომ მამა დ. დუმბაძე ამ საქმეს
სასიქადულოდ და სახელოვანად დააგვირვე-
ნებს. იგი, როგორც კარგი მცოდნე ჩვენი ქარ-
თული საეკლესიო გაღლისა, შეიუვარებს და
დააფასებს ნოტით გაღლობას. დარწმუნებული
ნოტები გაღლობის სიმშვენ ერეში მ. დავითი
გაითარებულს მხნეობას და მით დამოუჩენს ამ
საქმეს საჭირო საშვალებას.

ილ. აბაშიძე

ძვირივისა „სიზუსა“

აღმოსავლეთის ომის წინათ 1853-55 წლებში
იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ საზაფხულოდ
მოსკოვში წასვლა განიზრახა და გრაფ შერემეტიევს
აღუთქვა მის მამულში მისვლა ს. ოსტანკინში,
ვინაიდგან ამ მამულის შესახებ ბევრი რამ გაეგონა
იმპერატორს.

მართლაც ხსენებულ მამულს თავისი სიმშვე-
ნიერით დღესაც პირველი აღილი უქერია, თუმცა
სოფელ ისტანკინში ბევრი საზაფხულო აღილები
გაშენდა. გრაფის მამულს ძლიერ მშვენიერი მდება-

რეობა აქვს და მასთან მას ამშვენებს შესანიშნავი
სასახლე გრაფისა, ძვირფასი პარკი, რომელიც ზაფ-
ხულობით ღია ამ სოფლის მეაგარაკეთათვის, ვებერ-
თელა აუზი, რომელიც ღიდ ტბას წარმოადგენს.
გრაფის ამ ძვირას მამულს აღტაცებაში მოჰყავდა
ისეთი პირნიც კი, რომელთაც ბევრი რამ შესანიშ-
ნავი ენახა.

იმპერატორის დაპირება მეტის მეტად ესიამოვნა
გრაფს და მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ
დაგმზადებით სასახლე, სასახლის ეკკლესია, პარკი,
აუზი და მთელი მამული და სოფელი ოსტანკინი.
სასახლის ეკკლესიის მღვდლად იყო გრაფისაგან და
მთელი სოფლის მკვიდრთაგან პატივცემული სამოკ-
და-ათი წლის მოხუცებული, სას. სემინარიაში კურს
დამთავრებული. მოხუცებული მოძღვარი კიდევ
მხნედ იყო და მასთან ძლიერ გონიერი და ზრდი-
ლობიანი. იმპერატორს ჩვეულებად ჰქონდა, რომ
რომელიმე ქალაქში ან სოფელში მისვლის ღროს
პირველად ეკკლესიაში შებრძანდებოდა სალოცავად.
ამიტომ გრაფის მმართველმა საჭიროდ დაინახა, რომ
იმპერატორის მობრძანების ღრისათვის ეკკლესიაში
მოეხმო ვინმე უმაღლეს სწავლა მიღებული მღვდე-
ლი. მოიწყიეს ერთი ახალგაზდა მღვდელი, აკადემია-
ში სწავლა დამთავრებული, რომელსაც ანაფორაზე
მარისტრის ჯვარი ეკადა. ამ ახალგაზდა მოძღვარს
დაავალეს სიტყვის თქმა იმპერატორის შეხვედრის
ღროს. ისიც დიდის ბეჭითობით შეუტგა ღროს
შესაფერი სიტყვის დამზადებას.

იმპერატორმა საიდგანდაც შეიტყო, რომ გრაფი
დიდ მზადებაში იყო და უსაყვედურა მას: მე მსურდა
თქვენი მამულის ნახვა და არა თქვენი ხარჯში
შეყვანა, უბრძანა ხელმწიფებ გრაფს და მასთან ისურვა,
რომ მის მამულში არავითარი ცვლილება არ იქნეს
მოხდენილა.

შერემტიევმა მაშინვე უბრძანა მმართველს, რომ
ყოველივე მუშაობა შეექცევებიათ და რაც უკვე გა-
კეთებული იყო, მოეშალათ ამ მიხეზისა გამო იმ-
პერატორის შეხვედრა ტაძარში ისევ იმ მოხუცებულ
მოძღვარს ხვდა.

დაბოლოს ხელმწიფე მიბრძანდა პირველ სა-
ტახტო ქ. მოსკოვში და რადგან შეტყობილი ჰქონ-
დათ, რომ იმპერატორი მოსკოვში დიდხანს არ დარ-
ჩებოდა, ამიტომ სოფელ ისტანკინში ყოველ დღე
მზად იყვნენ ძვირფასი სტუმრის მისაღებად.

მეოთხე დღეს გრაფის ეზოში შემრთული გრაფის ჩათარი კრემლიდან და განაცხადა, რომ შეც წამოვედი და ის ის იყო ხელმწიფეს სასახლეში ეტლი მიართვესო. შეიქნა სოფელში ერთი ამბავი: უყელანი მზათ იყვნენ თავიანთ ბატონთან ერთად მიგებებოდენ ხელმწიფეს პურ-მარილით. მთელი სოფლის მკვიდრნი მოსკოვისკენ იცირებოდენ. ბოლოს გამოჩდა ძვირფასი სტუმარი და გაისმა «ურას» ძახილი.

ხელმწიფე მიიღო პურ-მარილი გლეხებისგან, შემდევ შერემეტიევი ჩაისვა თავის ეტლში, რომელსაც თან შეიცვდა ორი ეტლი, რომელშიაც ხელმწიფის ამაღა ისხდა და პირდაპირ ეკალქიაში წაბრძანდა. მოხუცებული მღვდელი არას დროს არ შეხვედრია პირისპირ არც ერთ ხელმწიფეს და როცა გაიგო, რომ საცაა ხელმწიფე მობრძანდებაო, სულ აირია და აძიგიგდა; მღვდლის მეუღლამ მოარბენინა ვოდკა და ერთი-ორი რიუმქა გადააკრვევია თავის მეუღლას. მოძღვარი ცოტა შეხურდა და თავისი მხიარული სახე ხელახლად დაუბრუნდა.

როცა ტაძარში ყოველივე მზად იყო, ახალგაზდა მღვდელმა მისცა მოხუცებულ მოძღვარს შეკრილი ფურცელი და უთხრა:

მამაო, იმ შესაგებელი სიტყვა, რომელიც მე, დიდი ხანია, მომზადებული მქონდა; თვალი გადაავლე, რამეს მაინც გამოიტან, რომ ხელმწიფეს უთხრა.

მოხუცებულმა გაიკეთა სათვალე და გაშალა ფურცელი ქალალდი; პირველი გვერდის მეოთხედიც არ ჰქონდა წაკითხული, რომ ზარა შემოკრეს, რომელმაც აუწყა ყველას, რომ ხელმწიფის ეტლი მოუახლოვდა ტაძრის.

— ეჭ, შენ და შენი სიტყვაც! გმაღლობთ! კითხვისათვის არა მცალია, და არც საჭიროა. იმას ვიტყვი, რასაც უფალი მაგონებს, წამოიძახა მოხუცებულმა და დაუბრუნა ქალალდი და გაჩერდა ტაძრის კარებში.

ამ დროს ხელმწიფის ეტლი მოადგა ტაძარს და მათი უდიდებულესობა გადმობრძანდა ეტლიდან, უკან მიჰყვენ მემამულე შერემეტიევი, გრაფი კანკრინი, თავადი მენშიკოვი და მხლებელთა სხვა პირნი. ტაძრის კარებში იდგა სამღვდელოება და მათ უკან გრაფის საკუთარი მგალობლები.

როცა ხელმწიფე მიუახლოვდათ, მოხუცებულმა

მოძღვარმა გაბედულად და მხიარულად შეხედა მშერატორს თვალებში, მაღლა აიღო ჯვარი და შესაფერის ლირსებით და ხმა მაღლა წარმოსთქვა: ქვეყნიერო მეფევ! შემოვედ ზეციური მეფის სახლსა შინა! შენ გშვენის პატივი და დიდება, — მას — თაყვანის ცემა უკუნითი უკუნისამდე!

ხელმწიფე ემთხვია ჯვარს და ლიმილით უთხრა მხლებელთ, რომ თუმცა ბევრი სიტყვები მომისმენია, მაგრამ ასეთი მოკლე და მასთან ლრმა აზროვანი სიტყვა ჯერ არავისგან არ გამიგონიაო.

— მიეცეს მოძღვარს ხუთასი მანეთი! უბრძანა ხელმწიფე გრაფ კანკრინს და შემდევ შიუბრუნდა მღვდელს და უბრძანა:

— გთხოვთ თქვენ, მამაო, გამეორეთ თქვენი სიტყვა!

მოხუცებულს რაღაცა სასიმონენო სიხარულმა ელვასავით გაურბინა ტანში. მან ხელახლად აღამაღლა ჯვარი და მომეტებული მხნეობით გაიმეორა:

— ქვეყნიერო მეფევ! შემოვედ სახლსა ზეციური მეფისას! შენ გშვენის პატივი და დიდება, მას კი თაყვანის ცემა უკუნითი უკუნისამდე!

ხელმწიფე მეორეთ ემთხვია ჯვარს და გაკვირდა, რომ ადგილიდან არ იძრის მოძღვარი, რომ გზა მისცეს ხელმწიფეს, ტაძრში უბრძანდეს.

ხელმწიფე იფიქრა, აღბად რაღაცა სათხოვარი აქვს მღვდელსო და აღერსიანად ჰკითხა:

თქვენ, მამაო, ეგებ რამე სათხოვარი გაქვთ ჩემთან, წინდაწინვე აღთქმას გაძლევთ, რომ სიამოვნებით აღისრულებთ!

— განიმეორეთ თქვენც, თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ თქვენი სიტყვა! წყნარად წარმოსთქვა მოხუცებულმა და თან შეხედა იმპერატორს, მაგრამ მაშინვე ჩაღუნა თავი.

— გრაფო! მიეცით კიდევ მოძღვარს ხუთასი მანეთი. ახლა კი გაგვიშვი, მამაო! ბრძანა მხიარულად იმპერატორმა და გადადგა ფეხი წინ!

— ამინ! წარმოსთქვა მღვდელმა და მესამედ გადასახა ჯვარი იმპერატორს, და შევიდა ტაძარში მისი წინამძლოლობით.

როცა პარაკლისი შეასრულეს და ხელმწიფე და სხვანი ტაძრიდან წაბრძანდნენ, მოხუცებულმა მოძღვარმა გაიხადა შესამოსელი და გამოვიდა ტაძრიდან და ხარხარით უთხრა ახალ გაზდა მაღისტრს:

— თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარით, მ. დიმიტრი, ნუ თუ თქვენი ღრმა აზროვანი სიტყვა მომცემდა მე ამისთანა ყოვლად უმოწყალესს საჩუქარს, როგორისაც მე ღირსი გავხდი ჩემი უბრალო სიტყვით? (რუსული პალმიკი).

ზედილი სადაცილებელი.

პატივცემულო მამაო რედაქტორო! ეს არის მივემზავრები შორეულ ქვეყანაში აღმოსავლეთისკენ; ორშოუად თორმეტი დღე და ომე ხოლმანდით უნდა ვიმზავრო. მე დავინიშნე მღვდლად ვლადივოსტოკის ციხის ტაძარში. ოცდა სამი საათი არის სახალინამდის სასიარულო ვლადივოსტოკიდან. თუ ღმერთმან მშვიდობით მიგვიყვანა, უთულდ წავალ ამ კუნძულზე, ხადაც, როგორც ამბობენ, ხუთას სულამდის არიან ჩვენი ქართველები. მე თან მიმაქვს საჭირო წიგნები, რომ ამ საცოდავებს ქართული წირვა მოვასმენინო და დაგმოძღვრო. გთხოვ, რომ დაგვეხმაროთ და პატარ-პატარა რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები მივაწვდინოთ ამ საცოდავ ხალხს, რომელიც მოკლებული არი ამ შორეულ ქვეყანაში ყველაფერ ჩვენს ენაზე საღმრთო საკაცებო საკითხავებს. იმედი მაქვს კავშირი ვიქინიო თქვენს რედაქტუასთან და საინტერესო ცნობები მოგაწვდინო ამ შორეული ადვილიდან.

თქვენი და ს. მ. სოლ იმერლიშვილი.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ვართ, რითაც შეგვიძლია ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ გაჭირვებულთ ჩვენი ქვეყნიდან გადახვეწილთ და იმედი უნდა იქმნიოს პატივცემულმა მამა სოლომონ იმერლიშვილმა, რომ ჩვენ არაფერს არ დავიშურებთ ამ გაჭირვებულთა დასახმარებლად.



პირველი ს. ქოველიან აღწერა
ლობა რეზერვის იმპერიას მეზოვ-
ლებთა და მისი მიზანი.

მისმა იმპერატორებითი უდიდებულებობამ 5 ივლისს 1895 წლისა უმაღლესათ დაამტკცა წესდება საეფელთაო აღწერილობისა რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა.

აღწერილობა შესდგება მასში, რომ უნდა აღაწეროს და აღირიცხოს ეფელი სული რა სქესისაც უნდა იქნას, რა წოდებისაც და ხნოვნების, რა თუ მთელს სახელმწიფო ძრამედ თითოეულ გუბერნიაში, თითოეულ მაზრაში, საზოგადოებაში, ხოჯელში და ცალკე მოსახლობაში.

ეს ცნობები არიან საჭირო მმართებლობისათვის:

1, კაჭირების ღროს რომ გამოზომონ რამდენათ საჭიროა დებმარება, მაგალითებრ მიმშილის ღროს, ავათურების ღროს (ხოლორა, ჟამი და სხვა) როდესაც, თუ ეს ცნობები არ იქნა, ცსე თავის ღროზე მმართებლობის მხრით მიშველება შეუძლებელია.

2, დასაარსებლათ საავათმეოფოთ, ქველის-მოქმედთ საზოგადოებათა და სხვა ამ გვარი დაწესებულებათა. დასახმარებლათ ბრძანი, სუსტოდა და მოსუსტოდა, რომელთაც არ ჰქონდება ჭირისუფლნი, არ შეუძლიათ მუშაობა და არც აქვთ რაიმე სხვა საშუალება და სხვენი.

3, აფთიაქების და საავათმეოფობის დასაწებლათ და დესანიშნავთ ვერმელებისა.

4. რათა ეკველანი თანხსწორ ასრულებდენ
სამხედრო ბეგარას.

5. სკოლების დასაარსებლათ იმის მიხე-
დვით, თუ რამდენი უმაწვილი იქნება სკოლაში
მისაბარებელის წლოვანობის.

6. გზების გასაუფანათ, დასაწესებლათ
ბაზრებთა და იარმუქათა, რათა გაჭრობა და
მრეწველობა გაურცელდეს.

აი უმთავრესი საგნები მომავალის სა-
ფულელთაო აღწერილობისა, რომელიც მოხდება
ხელმწიფებრივობის ბრძანებით. ამისთვის

თვითონეულის ვალდებულებაა, რათა აღმოუჩინ-
ნოს შემწეობა აღწერილობას. სოფლის თანამ-
დებობის პირები, სასულიერო და სამოსწავლო
უწევებანი, განათლებულნი პირნი და განსაკუთ-
რებით აზნაურნი, ეს მოწინავე პირნი, რო-
მელნიც მმართებლობას უოველოვის უმავრებ-
ები მხარს, უფრო მძიმე საქმეების მოგარე-
ბაშაც, მოვალენი არიან და აძირომაც იწვე-
ვენ მათ, რომ აღმოუჩინოს შემწეობა აღმწერელ
პირთა და თვითონაც მიიღონ კრებითი მო-
ნაწილეობა ამ სასარგებლო სოჭოდო
საქმეში. (მეურნე)



ბრამის სარწმუნოების აღმსარებელის ქვრივი ქალი, რომელც ქმართან ერთად უნდა
დასწავან. ქალი მშვენივრად მორთულია და მაღლიდგან გვდებენ ცეცხლში დიდის ამბით და
ცერემონიით. ბრამის სწავლის თანახმად თავის გადაცვალებულ ქმართან ერთად ცოლაც თვის
სცოცხლე უნდა მოხსოს ამ ქვეყანაზე.

— იმ ახალი ძმებიდან შერი შენები.

ახალ სენაკში ბ. ნაკაშიძის სახლი, რომელშაც
შოთავებული იყო სამეგრელოს სასულიერო ოთხ-
კლასიანი სასწავლებელი, სრულიად დაიწვა. არც
ერთი საქმე სასწავლებლის სამართველოსი და არც
სხვა რაიმე სასწავლებლის ნივთი არ გადარჩენილა.
სახლი დაზღვეული ყოფილა ორი ათას მანეთად.
ამავე სახლის მახლობლად მთლად გადამწვარა თ.
ივ. დადიანის სახლი, რომელიც დაზღვეული არ
ყოფილა. ზარალი დიდია. სასწავლებელი დროებით
იქვე ბ. მხედიძის სახლში გაუმართავთ.

**

2 ნოემბერს მათი მაღალ ყოვლად უსამღვდე-
ლოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და-
მის მატარებელით ჩაბრძანდა ახალ სენაკში. სენაკი-
დან მათი მეუფება ჩაბრძანდა ფოთში, საღაც მათ
მეუფებას მიეგებნენ ქალაქ ფოთის მოურავი და
საზოგადოების სხვა წარმომადგენელნი. ქალაქის
მოურავმა ბ. ნიკოლაძემ განუცხადა მათ მეუფებას,
რომ ქ. ფოთი მუქთად დაუთმობს საჭირო ადგილს
და სხვა შემწეობასაც აღმოუჩენს სასულიერო მთავ-
რობას, თუ ახალ სენაკიდან სამეგრელოს სასულიერო
ოთხ-კლასიანი სასწავლებელი ფოთში იქნება გად-
მოტანილი. 12 ნოემბერს მათი მეუფება თბილისში
დაბრუნდა.

**

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ წლის გაზეთ «კვა-
ლის» ხელის მომწერთათვის აღთქმული საჩუქარი —
გულჭათი, მოთხრობა გ. წერეთლისა, ხევებული
გაზეთის რედაქტის დამოუკიდებელი მიხეზისა გამოა
არ იშევდება.

**

სამწუხარო ამბავს გვაცნობებენ თბილისიდან:
17 ამ თვისას, დილის შვიდ საათზე, იქ გარდაცვლი-
ლა სიონის ტაძრის კანდელაკი დეკანზე გრიგორი
ჰეტრიაშვილი.

**

რუსული გაზეთის „კავკაზის“ რედაქტორად
უკვე დამტკიცებულ იქმნა ბ. ველოჩკო, რომელსაც
ჩვენი ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს.

**

ბ. ექიმის ს. ბ. თოფურიას საავად-მყოფოს სა-
ქმე სწორეთ შეენიცრათ მიღის. როცა ამ საავათ-
მყოფოდან ბ. ხირურგი ვოინო წავიდა, ყველას
ეგონა, რომ ბ. ვოინოს მაგიერი კაცის შოვნა საძ-
ნელო შეიქნებოდა, მაგრამ, სასიხარულოდ, ბ. ვოი-
ნოს მაგიერ მოწვეულ იქმნა ხსენებულ საავად-მყო-
ფოში ბ. გერრატი, რომელიც სწორეთ რომ შესანიშ-
ნავ აპერაციებს აკეთებს. ამ დღეებში ბ. გერრატმა
აპერაცია გაუკეთა ერთ ქალს, რომელსაც ჰქონდა ვე-
ბერთელი ჩიყვი. ჩვენ თვითონ ვნახეთ ეს ამოქრილი
ჩიყვი და გავოცდით. ქალი ამ ორიოდე დღეში
გამოიწერება საავად-მყოფოდან და შინ წავა. ამ
საავად-მყოფოში აგრეთვე მოწვეულია თვალის ექიმი
ბ. ვარშავსკი, რომელსაც თავის მოვალეობა შესა-
ფერად ჰქონდია შესწავლილი. ამ საავად-მყოფოს
სისუფთავე და მოწყობილობა სწორედ მშვენიერ
შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ვეონებთ, რუ-
სეთის სატახტო ქალაქებშიც არ მოიპოვება ასეთი
მოწყობილი საავად-მყოფო.

**

ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატორიცა-
ნი მარიამ და ალექსანდრა თეოდორეს ასულნი,
დიდი მთავარნი და სვიტა, მიბრძანდნენ ვ საათზე
სმოლნი ინსტიტუტში, რომელიც ამ დღეს დღე-
სასწავლობდა ასი წლის არსებობის იუბილეის.
მათი უდიდებულესობანი მიიღო გრაფმა პროტა-
სოვ-ბახმეტევმა. სააქტო ზალაში მათ უდიდებუ-
ლესობათ მოისმინეს მოსწავლე ქალების კონცერტი.
ამ დროს ერთმა მოწაფემ მიართვა ხელმწიფე იმპე-
რატორიცას მარიამ თეოდორეს ასულს ყვავილების
თაიგული, სხვა მოწაფეებმა შეამკეს ყვავილებით

ბიუსტი იმპერატორის პავლე 1 მეუღლისა მარიაშ თეოდორეს ასულისა. ბოლოს მოწაფეთ ცეკვეს გავოტი და მენუეტი პავლე 1-ის ღრინდელ ტანისამოსებში.

საათზე მათი უდიდებულესობანი დიდ მთავრებთან და სეიტასთან ერთათ, წაბრძანდნენ კონსერვატორის გახსნაზედ დასასწრებლად, შებრძანდნენ კონსერვატორის ეკლესიაში, სადაც დაუხვდა მღვდელი; აქედან წაბრძანდნენ პატარა საკონცერტო ზალაში, სადაც მათ უდიდებულესობათ წარუდგნენ კონსერვატორის მმართველნი და სამუსიკო საზოგადოების წევრნი. როდესაც მათი უდიდებულესობანი დაბრძანდნენ, სამუსიკო საზოგადოების დირექტორმა კიუი-მ წაკითხა მოქლე ისტორია სამუსიკო საზოგადოებისა და კონსერვატორისა, რის შემდგომ მოწაფეთა ურკესტრმა და ხორომ შეასრულეს, პროფესორ გალკინის ლოტბარობით, რუბინშტეინის უვერტიურა, განგებ ამ შემთხვევისათვის დაწერილი. მ-თი უდიდებულესობანი ამის შემდეგ წაბრძანდნენ. მოწაფეთ დიდის აღტაცებით გააცილეს.

გამოცხადებულ იქნა უმაღლესი რესპუბლიკურმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა, ბოძებული ყოვლად სამღვდელო პალლადისადმი, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტისა, იმასთანვე წარეგზავნა მას წყალობა—კვერთი. (ცნობის ფურცელი)

სწორია და მეცნიერება ქრისტიანობის სარჩევებასა და ქრისტიანობაზე.

მოძღვრება.

კვირიარესა უემზომად ჯვართ-ამაღლებისა.

განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა

ქმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! დღეს წაკითხული მოკლე სახარება იპყრობს თვის შორის ღრმასა და ვრცელსა სწავლასა. მოვისმინოთ

მოკლედ განმარტება მსინ, მვედრებელნის ღვთხლა, რათა მოგვცეს გულის-ხმისყოფა და სულიერი ბლუნება. „რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიღევინ მე“ (მარკ. 8, 34).

ამ პირველ მუხლში უფალი ჩვენი იქსო ქრისტე გვაძლევს ჩვენ დიდსა და მაღალსა სწავლასა. თითქმის მთელი სახარების სწავლა მოკლედ გამოთქმული არის სიტყვათა მათ შინა. ამ სიტყვებში უფალი ჩვენი იქსო ქრისტე შეგვაგონებს ჩვენ, რათა ჩვენსა ცხოვრებასა დავილად და მსუბუქად არ ვუყურებდეთ, არამედ მძიმედ, ვითარცა ერთსა დიდსა ღვაწლსა და შრომასა; არ ვიფიქროთ, რომ ეს ცხოვრება მოგვეცა ჩვენ სალხინოდ და თავის შესაქცევად, არამედ ვიცოდეთ, რომელ ცხოვრება ჩვენი აქ არის შრომა, მოთმინება; ხშირად ჭირი და მრავალი განსაცდელი, და, ესრულ, წინადავე გავამზადოთ სული ჩვენი აღმად მხართა ზედა ჩვენთა ჯვარისა, ესე იგი ყოვლისა სიმძიმისა, ჭირისა და განსაცდელისა, უარს ვჰყოფდეთ თავსა ჩვენსა, ესე იგი დავივიწყებდეთ ყოველსა, რაიცა იმება ხორციელსა, დაცემულსა ჩვენსა ბუნებასა, და ვიდოდეთ შემდგომად ქრისტესა, ესე იგი, ვითარცა მან განატარა ცხოვრება თვისი დიდსა შრომასა და აურიცხველსა მოღვაწეობასა შინა, ეგრეცა ჩვენც ვცდილობდეთ, რომ ცხოვრება ჩვენი განვატაროთ შრომითა, მოღვაწეობითა და მოთმინებითა.

„რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი“. (მარკ. 8, 35). ამ სიტყვებში უფალი იქსო ქრისტე აპხსინს და განავრცელებს იმდევ აზრსა, რომელიც წარმოსთქვა წინამავალსა მუხლასა შინა. აქ უფალი გვასწავლის ჩვენ, რომ, თუ ვინმემ თავი თვისი დაზოგა შრომისა და მოღვაწეობისაგან, თუ ვინმე ამ ქვეყანაზედ დაემალა ყოველსა ღვაწლსა, ჭირისა და განსაცდელსა, და ნაცვლად შრომისა და მოღვაწეობისა, იწყო ძებნა ლხინისა და განკხრომისა. იგი სარსწყმედს სულისა თვისისა. რა სახით? მით, რომელ იგი არათუ მომავალსა საუკუნეება დაჰკარგავს, არამედ აქაც გააფუჭებს და წარწე-

ყმედს თავის სულისა, ვინაიდგან ამ ქვეყანაშიაც შრომა და მოღვაწეობა გაატკიცებს და გაანათლებს კაცის სულისა; გარნა სიზარმაცე და განცხომა - წაახდენს; კაცი, რომელი არ ჰქოგავს აქ თავის თავს, არ ემალება შრომასა და მოღვაწეობასა, არ მოეფერება თვისს დაცუმულს ბუნებასა, არამედ წარწყმედს, ესე იგი დასთრგუნავს, მოსპობს ხორციელისა ზრახვასა და გემოვნებასა, იგი ამით აცხონებს სულისა თვისისა.

„რა სარგებელ-არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მიჰკეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა“. (8, 36—37). კაცის ბუნებაში სული არის ხორციელ უმთავრესი, მაშესადამ სულისათვის უმეტესად უნდა იზრუნოს კაცმან. უმჯობესია მოითმინოს მან ყოველი ჭირი, და სული თვისი დაცუს. რა სარგებელი ექმნება, რომ კაცმა, ერთის წუთის ნუგეშისათვის, დაპლუპოს თვისი სული. ცოდვილი კაცის თვისება სწორედ ის არის, რომ იგი, ერთი წუთის კმაყოფილებისათვის, თავის საუკუნო ბედნიერებას შესწირავს. იგი თავის სულის აზღვევს ერთი უბრალო სოფლის გემოვნებისათვის. ამ ცუდი ჩვეულებისაგან გვაფრთხილებს უფალი, როდესაც იტყვის: „რა მიჰკეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა“. „

„რამეთუ რომელსა იგი სირცხვილ-უჩნდეს ჩემთ და სიტყვათა ჩემთა, ნათესავა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხეინოს მას, რა უამს მოვიდეს დიდებითა შამისა თვისისათა ანგელოზთა თანა წმიდათა“. (8, 38). ეს სიტყვები ერთი მხრით გააკვირვებენ გონებასა კაცისასა. ნუ თუ შესაძლებელია, რომ ისეთი კაცი იყოს ქვეყანაზედ, რომელსა სასირცხოდ უჩნდეს, ესე იგი შერცხვეს იქმო. ქრისტესი და მისისა სწავლისა? არა ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ მაზედ უმჯობესი არსება; არ არის და არ შეიძლება, რომ იყოს მის სახარებაზედ ულრმესი, უბრნესი, უტყბილესი სწავლა და დარიგება. ამას ესრედ ალიარებენ თვით უპირველესნი ფილოსოფოსნი. ზოგი მათგანნი თუმცა არ დაემორჩილენ მისა სახარებასა, გარნა, მაინც ალიარებდენ, რომ მაზედ უმჯობესსა სწავლასა კაცი ვერ წარმოიდგენსო, ვერც გამოსთქამსო. მაშასადამე, როგორლა შეიძლება, რომ ვისმეს შერცხვეს მისი სახელისა და მისი სწავლისა? ეს შესაძლებელია, ძმაო, იმ კაცისათვის, რომელიც ამ სიცოცხლეში ეძიებს ნუგეშსა და კმაყოფილებასა, და არა ჰსურს იქსო.

ქრისტეს ჯვარის აღება და შედგომა, მისია ნელა, ხშირად იტყვის სოფლის მოყვარე და ცოდვის მოყვარე კაცი; სოფელით; გავიხარებ და ვინუგეშებ, მინემ ცოცხალი ვარ, მოკვდები—რა ვიცი რა და-მეტართებალ. ესრეთსა კაცსა რცხვენია იქსო. ქრისტეს სიმდაბლისა, მისი ჯვარის აღება მას ეზარება.

სე მძიმედ და ლრმად უნდა უყურებდე შენ, ძმაო ქრისტიანე, შენსა სიცოცხლესა და მოქალაქეობასა. ესრეთითა შრომითა და მოწიწებითა უნდა ალსრულებდე შენსა მოღალეობასა. საცოდავი არის ის კაცი, რომელსაც ჰსურს ამ სიცოცხლის გატარება ხუმბრობაში, სიცილში და თავის შექცევაში. იგი უსარგებლოდ ამძიმებს დედა მიწასა.

მაგრამ იმასაც ნუ იფიქრებ, ძმაო ჩემო, რომელ ჰეშმარიტი მოღვაწე ქრისტიანე კაცი ყოველთვის მოწყენილი და გამწარებული უნდა იყოს, და უცხო ყოველისა ნუგეშისა, არც უნდა იცნობდეს სიხარულისა და მხიარულებასა. წინააღმდევ ამისა წმიდა მოციქული პავლე მისწერს კოლასელთა: გიხაროდენ, და კვალად გეტყვი, გიხაროდენ, ესე იგი ქრისტიანე კაცს ყოველთვის უნდა უხაროდეს. მართლა, ჰეშმარიტი, წმინდა, წრფელი სიხარული მხოლოდ იმ კაცს აქვს გულში, რომელიც არის ჰეშმარიტი ქრისტიანე. სოფლის მოყვარე, ცოდვის მოურიდებელი კაცის სიხარული ყოველთვის არის ყალბი, ხელოვნებითი და ძალადი: ცოდვილი კაცი გამხიარულდება ხან ღვინის სმით, ხან რომელიმე სხვა ცოდვის ალსრულებით. გაიღვიძა მოვრალმან: თავი სტკივა. ცუდ გუნებაზედ არის, სცხვენია; გაათავა სხვა ცოდვა რომელიმე, სინიდისი ჰექნჯნის, სცხვენია. და ესრედ, ჰეშმარიტი, წმინდა და გამაცოცხლებელი სიხარული და მხიარულება, არის ნაყოფი შრომისა და მოღვაწეობისა; ხოლო სიხარული ცოდვის მოყვარისა, არის ყალბი და წუთი. პირველი წირმომდინარეობს კეთილისა სინიდისისაგან, განწმენდილი აზრისაგან; ხოლო მეორე რომელიმე ცოდვისაგან, და ცოდვის სიამოვნება კი წუთია, და მერმე გამამწარებელი. ენა კაცისა ვერ გამოსთქვამს იმ სიხარულისა, ნეტარებასა და ნუგეშს, რომელსა ხშირად ჰერმნობდენ მრავალნი წმიდანი კაცნი, რომელიც მოგვცეს ჩვენ ყოველი ლერთმან. ამინ.

ცმული რწმუნებული კალათილის სალფამინას შეტანილის დროის გიორგის ეკვლესის შემდგრი ნივთები: 1

მდედრის ორი სრული შესამოსელი აბრეშუმის, და ძეირფასი ფარჩისა, ღრმებული 150 მ; დიაკვ-ნისა, ლირ. 15 მ.; ერთი ტრაპეზზე დასაფენი აბრეშუმისა ძეირფასი ხელოვნობით გაწყობილი. და მოქარებული, ლ. 12 მ.; ორი წყვილი დაფარნა კარგის გვარისა მოქარებული და გაწყობილი, ლირ. 10 მ.; ტრაპეზზე დასასევენი სახარება აბრეშუმის ხავერდით და ახალი ხელობით მოჭედილი ვარაყიანი, ლირ. 20 მ.; ორი აბრეშუმის სამკეთლოზე დას-ფენი, ლ. 8 მ. და 7 ხაკონდაკე ანალოლაზე გრძლათ დასუნი, ლ. 5 მ. ყველა შეწირული ნიეთები ლირს 220 მანეთი.

მღ. ილია ბაბილუა.

III

«მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშეალებით გულითადი მაღლობა გამოუცხადო რო პირთ, რომელთაც ჩემის თხოვნით შემოსწირეს განსახლებლად რწმუნებულის ჩემ-დამო გეჯეთის ზედმიწერილის წმინდის გიორგის ეკვლესისა 502 მანეთი ფულად და ნივთები: აზა-ურმა გასილი ხახუს ძე მახარაძემ—30 მანეთი, სტა-როს ტაბ აზაურმა პავლე ივანეს ძე მახარაძემ და მისმა ძეგმა—58 მანეთი, სისო ჯლამაძემ და მისმა ძეგმა—98 მანეთი, ფარნა კუპრევილმა, მოსე ქავთარაძემ და მათმა ძეგმა—76 მანეთი, როსტო კოხიამ, ჯარუ ჯოჯუმა, სტეფან ჩხეიკამ და მათმა ძეგმა—55 მანეთი, წერლად შემოსწირეს სხვა და სხვა პირებმა 26 მანეთი, ალექსი ქუჩუს ძე ჯოჯუმ ერთი დიდი ზარა, ლირებული 149 მანეთად და ლე-ვან გიორგის ძე ჯლამაძემ სეფისკეერი და ზედაში, ლირებული 10 მანეთად. იმედი მაქვს, რომ სხვებიც მიჰებადენ ამ პატიოსან და ლეზის-მოსავ პირთა საქე-ბურს შეწირულებას».—

მღ. ბესარიონ თურქია.

II

«მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატიოცემულის გაზე-თის «მწყემსი»-ს საშეალებით გულითადი მაღლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა აბა-შის ფოსტის განყოფილების უმფროს ტიტულიარნი სოფეტნის ცექენტრი მდედლის ისიდორეს ძე ბიბ-ლუს, რომელმაც კეთილ ისურვა და შემოსწირა

ჩემდამო რწმუნებული კალათილის სალფამინას შეტანილის გიორგის ეკვლესის შემდგრი ნივთები: 1 მდედრის ორი სრული შესამოსელი აბრეშუმის, და ძეირფასი ფარჩისა, ღრმებული 150 მ; დიაკვ-ნისა, ლირ. 15 მ.; ერთი ტრაპეზზე დასაფენი აბრეშუმისა ძეირფასი ხელოვნობით გაწყობილი. და მოქარებული, ლ. 12 მ.; ორი წყვილი დაფარნა კარგის გვარისა მოქარებული და გაწყობილი, ლირ. 10 მ.; ტრაპეზზე დასასევენი სახარება აბრეშუმის ხავერდით და ახალი ხელობით მოჭედილი ვარაყიანი, ლირ. 20 მ.; ორი აბრეშუმის სამკეთლოზე დას-ფენი, ლ. 8 მ. და 7 ხაკონდაკე ანალოლაზე გრძლათ დასუნი, ლ. 5 მ. ყველა შეწირული ნიეთები ლირს 220 მანეთი.

«მ. რ! ნება მიბოძეთ, რომ თქვენი პატიოცე-მული უურნალის საშეალებით გულითადი მაღლობა გამოუცხადო, როგორც ჩემდამო რწმუნებულ მრევლს, ეგრეთვე იმ პატიოცემულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემდამო რწმუნებულ აბასთუმანის წმიდის ნიკოლოზის ეკვლესისათვეს მოიპოვეს ორი ზარი, ლირებული ორას ორმოცდა თოთხევე მანეთად (254) და ერთი კაპეიკად ამ ფულებში, სამრევლოში წვრი-ლად შეკრებილის გარდა შემოსწირეს: ბახვა ქაქუთიამ ოცი მანეთი (20); თ. კ. ბ. ფალამ 1 მ., ი. ბლა-გოვმა 1 მ. კინტირი კოდუამ 1 მ., დოლო დარასე-ლიასამ ს. მი აბაზი., და ლევან შოროხიამ ათი შეური.

ეგრეთვე ნება მიბოძეთ მაღლობა გამოუცხადო მონაზონ ეკატირინა გეახარის ასულს, რომელმაც ამავე ეკვლესის შესწირა ერთი ფილონი, ოლარი და წყვილი დაფარნა, ლირებული ოც მანეთად.

მღ. ეგნატე თათარიშვილი.

IV

«მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატიოცემული გაზეთის «მწყემსი»-ს საშეა-ლებით გულითადი მაღლობა გამოუცხადოთ რო-გორც მე ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ ალიშტულ

პირთ, რომელთაც ჩემდამო. ჩწმუნებულს აბფაყუშს
წმიდა გოთოვის ეკკლესიას შემოსწორეს სხვა და სხვა
ნივთები. იმ შემომწირუელთა სია: ქ. სუხუმის ალექ-
სანდრე ნევრლის კათედრის დეკანონს მ. დავით მა-
ჭავარიანს, რომელმაც აუცინა ჩწმუნებულ ჩემდამო
სამრეელოს შეკვიდრო მნიშვნელობა ეკკლესიის სა-
საჩველოდ შეწირულების და სამაგალითოდ რეიზ
ინება შემოწირეა ქვემოთ მოხენებული ნივთებია:
ერთი ქართული სახარება, ღირებული 15 მ.; ერთი
ქართული პარაკლიტონი, ღირებული 7 მ.; ერთი
ხელი სამღვდელო შესამოსელი აბრეშუმისა, ღირე-
ბული 65 მ., ერთი ხელი დაფარა აბრეშუმისა,
ღირებული 3 მ. და სრულიად 90 გ. ღირებული
ნივთები, ბლალოჩინს მდვდელს მ. ლავრენტი ჯირა;,
რომელმაც შემოსწირა გარდაძოხებისა, ღირებული 10
მ., ჩემდამო სამრევლოს მცხოვრებს ბაგრატი ბე-
რულებას, რომლის მცედენებით და შრომით იქმა-
ახ: ლევაზდა ყმაწვილებისაგან აღმუნებული ხის სამრევ-
ლო, რომელიც დაუჯდათ ამშენებელთ ას ათი ზან.
დარუხანი ცხაკიას ასულს ბერულებასას, რომელ-
მანც შემოსწირა 50 მანეთი ზერის ასყიდლად და
ჩწმუნებულს ჩემდამო სამრევლოს მცხოვრებთ დუ-
დათა სქეს, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი
წვლილი ზარას საყიდლათ და იქმნა მათ მიერ შეს-
ყიდული $6\frac{1}{2}$ ფუთიანი ზარა, რომელიც დაუჯდათ
150 მანეთი. ცატარია მართონის მოვალეობის აღმა-
რთვა იმოცემისა, ცატარია მართონის მოვალეობის
მდ. 6. ხუცესა. ტუშილად მაგნიათ თქვენი აძხა-
ნავი შტარ გარეთ მღვდლად. ჯამა-
ამოგმოვთ თქვენთან ვასტორე ულია და
საიდან არის იყი შუალედოვანი.

მოდიდაქ. ცინ—ძეს. შთავარ დიაკონს შეუქლია ალ-
არაბიანები, დან როს მედალი. თუ მთავარ-ზიაკონი
—იმ ქ. ლევაზდა მედავითის აღდილება დანიშნული,
თუ თავისი მას არა აქვს მედლის ტარების ნება.
არა მართონის მოვალეობის მედლის აღდილების და

მდ. 7. ნადირაძეს. ანდერძი თვით გარდაცვალებულზე
სრულდება. თუ გარდაცვალებული
არ არის, მაგალითებრ, როცა ზღვა-
ში ან წყალში იღუპებიან, მაშინ
ანდერძის მაგრერ მღვდლელმა ჰქონა შეიძილი
უნდა გარდახადოს. უკანასკნელ მეტ-
რიკის ხაზში უნდა აჩენონ, რომ
წყალში ან ზღვაში დაიღუპავო. თვით
ოთხშაბათს და პარასკევს ნაშუადღევს
შეიძლება გვირგვინის კურათხევა. სამ-
ორთანი შეაბათს და ხეთშაბათს შეაღლე-
ბა თვითონ დის შეიძლება შეიძლება გვირგვინის კურათხევა.
შეიძლება და გარდა იგი არა აქცით ნება
მედალის ტარებისა. კა.
გიმარგიძეს. თქვენ მიერ ჯვარ დაწერილი ქა-
ლი თუ დამქარედა სხვის სამრევ-
ლოში, შემდეგ მისი ჯვარის წერა
თუ მცხოვრები მცხოვრელს ეკუთხება, რომლის
მცხოვრები მცხოვრელს შიც იგი დაძერივდა.
დაზარების კონსასას. მღვდელს : რ შეუძლია მშობიარ
დედკაცს მის სახლშა მისელასა და
წენის წაკითხვაზე უარი უზხდას.
**პრის. ს. გეგ — ს. მეღაერნე მოვალე არ არის უფ-
სოთ დავითი უკითხოს გარდაცვ-
ალებულ. საშორმელზე შეტეა
ენი მცხოვრები და თვითონ მეღაერნეზეა
დამოკიდებული. თუ ღარიბია, მაშინ,
რასაკვირველია, უფასოთაც უკითხას
დაერთიანს. «უფალო შევიწყალენ»—ს
უნდა გალობრენ ყოველზეის და არა
«უფალო შეიწყალენ».**

პრის. გ. თაგვაძეს. მედავითის პენია არ ეძლევა,
რამდენი ხანუ უნდა იმახუროს. თუ
შექლება არა აქვს კურებულს, ძალის
ვერავინ უკა დააგრძანს, რომ სამრე-
ლო სკოლა ააშენებინოს ეკლესიის
ეზოში. სოფლის მასწავლებელს პნ-
სიდ არ ეძლევა.

გ. 56. ცხადებანი.

სახელმძღვანელონი ტსხვა საკითხავი წიგნები,
დწრალი იაკობ გოგება შვილის მაქ.

დიდი ე. ენი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო კოლეგი სახმარევლი, მე-11-ტე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვას საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ზასი ისევექვესა შაურია, ყდით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელოდ დანი ბნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურია, ყდით ვე კავ.

ბ ს ნ ი ბ ი ს ქ ს რ ი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ზასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კავ.). უყოფთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. მს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მუენიერი სახელმძღვანელო მართულის ენისა» და აკრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კ რ კ რ ი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა შერვე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კავიკი.

კ რ ნ ს საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად შეიცემა წიგნი, ვინც ოცათი აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, რე სინოდისაგან.

კ რ მ ლ ი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოჭრილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კ უ ნ წ ლ ი, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსა-გან, ისე სინოდისაგან.

კ რ მ ლ ი რ ს ჰ ე მ ნ ი? მოთხრობა მოჭრილი ემანილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხ ს ფ ი ს მ ი ზ მ ი ზ ი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ა ს ვ ი ნ ე ი ს რ მ ი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, მეორე გამოც. ფ. 10 კ.

მ ი რ ი თ ა დ ი უ კ უ ლ ი რ ი ს ტ უ რ ი, პუბლიცისტურ-წერილი დედანი მნიშვნელობის შესახებ კერძო-ადამიანის და მოელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თ ა ვ დ ა დ ე გ უ ლ ი რ ა რ თ ვ ე ლ ი ს ტ უ რ ი ი უ ლ ი მართველი, ისტორიული მოთხრობანი, დასურათებული, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплѣтѣ 40 ко пѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплѣтѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русского языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русского Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“ одобрено для библиотекъ низшихъ и средничь учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденіемъ Господина Главноначальствующимъ. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управлению Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967)

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано. „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

კ უ ლ ა ე ს წიგნები უმაგრესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის სახოგადოების მაღაზიაში ქუთაისში: ბერანეშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავათ-ჯილაძესთან და კალანდაძესთან, უოთში—ტუღუშვან, ობურგეთში და სენაკში თავათქლაძესთან, ლინქეთში ცანცაძესთან, სუჯეუში ჭავჭავაძესთან, უკრილაშ—არაბიძესთან, სჩხერები ყარამან ჩხერიძესთან, სურამში და ხაშურში შერლაპათან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—მრევილისკარაშვილთან, სილნალში ამხანაგობის მაღაზიაში, ვლადიკავკავში მასწავლებელ ბოკვაძესთან. 15—9.

პილება ხელის-მოწერა 1897 ფლისთვის ორ
კვირეულ გამოცემათა მართულს

„პატარა“^{-ზე}

რუსულ **«ПАСТЫРЬ»**^{-ზე}

ქურნალის ფასი:

| | |
|-------------------------------|------------------------------|
| 12 თვით «მწყემსი» 3 გ. | 6 თვით «მწყემსი» 2 გ. |
| — „ ღრივე გამოცემა 5 » | — „ ღრივე გამოცემა 3 » |
| — „ რუსული „ 3 გ. | — „ რუსული „ 2 » |

ისეიდება

საქართველოს მედიუმი

მამარ-მავის

ერთა რუსთაველის

სახისინი

ფილის ქალალი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის
მაღაზიებში

ცურცელი თითო კაპეიკად.

შოგებული თანხიდან ნახევარი ჟეწურ ება ზეპირ-
სიტყვაობის ვონდს და ნახევარიკ მოხარება იაფ-
ფასიან და შუქთად ასაჩიკებელ სახალხო წიგნ-
ების გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ **«კვალის»**
რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. უვარი-
ლიდამ მიხეილ ბარამაძისაგან.

მოკლეს ხანმი გამოვა სხვა მოღვაწეების სა-
ხინი ქალალდიც.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 ноября 1896 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (И. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

ერთო საავათემოცო აგაულათორიითურთ

ს. გ. თოვლის სამინისტრო

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორ მაც კი საწოლი-
ხირუგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით-
ავათმყოფთა თვეის. მუწუკებიანი და გაღამდები სენით-
ავათმყოფი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფ-
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 სათიდან შუადღის ვ-
საათა მდე.

შინაგან და ნერვებით ავათმუოფებს მიიღებს
ეკ. ს. ბ. თოვლის.

სიურუგიულ მარტით და სიფილისით
ეკ. ფ. გ. გერარდი.

დედაქაცურ ავათმუოფთა და საბებიოს ქალი
ეკ. მ. ვ. გაგანი.

თვალების ავათმუოფისათვის
ეკ. ი. კ. ვარშავეგი.

რჩება დარიგების ფასი 50 კ., კონსი-
ლიუმის ფასი 3 გ. დღე და დამე ქირა სა-
ავათმუოფოში სრული სარკით და ექიმობით
2—3 მანეთამდე. ანურაციის ფასი გარიგება-
ზე. (10—4)

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოვლის.

შ ი ნ ა რ ს ი:

ოფიციალური გაცემისილება: შინაგან საქმეთა მინის-
ტრის განკარგულება საფოსტო ნაწილში. — პენსიის დანიშვნა.

სალიტერატურო გაცემისილება: სტატსკი სოვეტნიკი
გიორგი სამაგლიშვილი, მამა კირიონი. — ნოტებით ქართული-
გალობა ლზურგეთის საკრებულო ტაძარში. — ძვირფასი სიტყვა.
— წერილი რედაქციისადმი. — პირველი საყველთავო აღწერი-
ლობა რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა და მისი მიზანი. —
ახალი ამბები და შენიშვნები.

სეავლა და მეცნიერება მრისტიანობის სარწმუ-
ნოებასა და კეთილ-ჯეობაზე: მოძღვრება კვირიაკასა-
შემდგომად ჯვართ-ამალლებისა, თქმული იმერეთის ეპისკოპო-
სის გაბრიელის მიერ.

— შეწირულებანი, რედაქციის პასუხი. და განცხადება.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.